

Doctoral Program: “Healthcare Plus, 10”

Framework Platform

Vasil Tkeshelashvili¹, Tamar Lobjanidze², Elza Nikoleishvili³

Deposited by the SakPatenti (Georgian Patent) on January 14, 2019, certificate #7573

The University of Georgia,
School of Health Sciences

¹MD, JD, PhD, ScD, Professor; ²Dean, School of Health Sciences, ³MD, PhD, Associate Professor

Concept

Doctoral Program: **healthcare Plus, 10** represents 10 doctoral programs with a common platform and is based on independent doctoral programs in Healthcare (09) (0901 Medicine, 0902 Dentistry, 0903 Pharmacy, 0904 Public health, 0905 Nursing, 0906 Physical Medicine and Rehabilitation) and field of Business Administration (02) – Management (0203) in healthcare-associated specialties (020303 Healthcare Administration, 020304 Pharmacy Administration, 020308 Public Health Administration, 020309 Medical Tourism and Wellness Administration) and accordingly basic 10 directions of research.

Therefore, Doctoral program includes:

Healthcare (09) fields:

- 0901 Medicine
- 0902 Dentistry
- 0903 Pharmacy
- 0904 Public health
- 0905 Nursing
- 0906 Physical Medicine and Rehabilitation

Following specializations in the field of Management (0203) in Business Administration (02):

- 020303 Healthcare Administration
- 020304 Pharmacy Administration
- 020308 Public Health Administration
- 020309 Medical Tourism and Wellness Administration

Accordingly, the Doctoral Program will have 10 independent qualifications to be awarded:

- 0901 PhD in Medicine
- 0902 PhD in Dentistry
- 0903 PhD in Pharmacy
- 0904 PhD in Public Health
- 0905 PhD in Nursing
- 0906 PhD in Physical Medicine and Rehabilitation
- 020303 PhD in Healthcare Administration
- 020304 PhD in Pharmacy Administration
- 020308 PhD in Public Health Administration
- 020309 PhD in Medical Tourism and Wellness Administration

სადოქტორო პროგრამა: „ჯანდაცვა პლუსი, 10“

ჩარჩო პლატფორმა

ვასილ ტყეშელაშვილი¹, თამარ ლობჯანიძე², ელზა ნიკოლეიშვილი³

საქართველოს უნივერსიტეტი,

ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა

¹მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

²ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის დირექტორი;

³მედიცინის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

კონცეფცია

სადოქტორო პროგრამა: **ჯანდაცვა პლუსი, 10**

წარმოადგენს 10 სადოქტორო პროგრამას საერთო პლატფორმით და ეფუძნება ჯანდაცვის (09) დარგებში (0901 მედიცინა, 0902 სტომატოლოგია, 0903 ფარმაცია, 0904 საზოგადოებრივი ჯანდაცვა, 0905 საექთნო საქმე, 0906 ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია) და ბიზნესის ადმინისტრირების (02) დარგის -მენეჯმენტის (0203) ჯანდაცვასთან ასოცირებულ სპეციალობებში (020303 ჯანდაცვის ადმინისტრირება, 020304 ფარმაციის ადმინისტრირება, 020308 საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადმინისტრირება, 020309 სამედიცინო ტურიზმისა და ველნესის ადმინისტრირება) დამოუკიდებელ სადოქტორო პროგრამებს და, შესაბამისად, კვლევის 10 ძირითად მიმართულებას.

ამდენად, სადოქტორო პროგრამა მოიცავს:

ჯანდაცვის (09) დარგებს:

- 0901 მედიცინა
- 0902 სტომატოლოგია
- 0903 ფარმაცია
- 0904 საზოგადოებრივი ჯანდაცვა
- 0905 საექთნო საქმე
- 0906 ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია

ბიზნესის ადმინისტრირების (02) სპეციალიზაციებს:

- 020303 ჯანდაცვის ადმინისტრირება
- 020304 ფარმაციის ადმინისტრირება
- 020308 საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადმინისტრირება
- 020309 სამედ. ტურიზმისა და ველნესის ადმინისტრ.

შესაბამისად, სადოქტორო პროგრამას ექნება 10 დამოუკიდებელი მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

- 0901 მედიცინის აკადემიური დოქტორი
- 0902 სტომატოლოგიის აკადემიური დოქტორი
- 0903 ფარმაციის აკადემიური დოქტორი
- 0904 საზოგადოებრივი ჯანდაცვის აკად. დოქტორი
- 0905 საექთნო საქმის აკადემიური დოქტორი
- 0906 ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის აკადემიური დოქტორი
- 20303 ჯანდაცვის ადმინისტრირების აკად. დოქტორი
- 020304 ფარმაციის ადმინისტრირების აკად. დოქტორი
- 20308 საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი
- 20309 სამედიცინო ტურიზმისა და ველნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი

Name of Doctoral Program	Healthcare Plus, 10	პროგრამის სახელწოდება	ჯანდაცვა პლუსი, 10
Qualifications to be awarded	<ol style="list-style-type: none"> 1. 0901 PhD in Medicine 2. 0902 PhD in Dentistry 3. 0903 PhD in Pharmacy 4. 0904 PhD in Public Health 5. 0905 PhD in Nursing 6. 0906 PhD in Physical Medicine and Rehabilitation 7. 020303 PhD in Healthcare Administration 8. 020304 PhD in Pharmacy Administration 9. 020308 PhD in Public Health Administration 10. 020309 PhD in Medical Tourism and Wellness Administration 	მისანიჭებელი კვალიფიკაციები	<ol style="list-style-type: none"> 1. 0901 მედიცინის აკადემიური დოქტორი 2. 0902 სტომატოლოგიის აკადემიური დოქტორი 3. 0903 ფარმაციის აკადემიური დოქტორი 4. 0904 საზოგადოებრივი ჯანდაცვის აკადემიური დოქტორი 5. 0905 საექთნო საქმის აკადემიური დოქტორი 6. 0906 ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის აკადემიური დოქტორი 7. 020303 ჯანდაცვის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი 8. 020304 ფარმაციის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი 9. 020308 საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი 10. 020309 სამედიცინო ტურიზმისა და ველნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი
Prerequisites for admission to the program:	<p>Obtaining the right to study on the PhD program at the University of Georgia is possible: for the Fall semester – from April 1 to May 15; for Spring semester – from October 1 to November 15.</p> <p>Study begins and is conducted according to the academic calendar approved by the Academic Board.</p> <p>Students are enrolled by the Decree of the Presidents of the university, based on administrative registration and satisfaction of the following criteria defined by the university:</p> <ol style="list-style-type: none"> a. Basic education diploma in medicine or dentistry or pharmacy or public health or nursing or physical medicine and rehabilitation or healthcare administration, tourism or resort activities; b. Presentation of B2 level English language knowledge certificate (FCE (First Certificate in English)), presentation of a document certifying studying on English-language BA/MA/PhD programs abroad, or passing English language entrance examination for doctoral program of the University of Georgia. Minimum competence level in English language is at least 51% of maximum evaluation. c. Presentation of research concept in the elected field. d. Recommendation letter of two professors and / or associate professors or Emeritus of the University of Georgia in the relevant field. 	პროგრამაზე მიღების წინაპირობები:	<p>საქართველოს უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვება შესაძლებელია: შემოდგომის სემესტრისათვის - 1 აპრილიდან 15 მაისამდე; გაზაფხულის სემესტრისათვის - 1 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდე. სწავლა იწყება და ტარდება აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი აკადემიური კალენდრის მიხედვით. სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება უნივერსიტეტის პრეზიდენტების ბრძანებით, ადმინისტრაციული რეგისტრაციისა და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული შემდეგი კრიტერიუმების დაკმაყოფილების საფუძველზე: საბაზო განათლების დიპლომი მედიცინაში ან სტომატოლოგიაში ან ფარმაციაში ან საზოგადოებრივ ჯანდაცვაში ან საექთნო საქმეში ან ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში ან ჯანდაცვის ადმინისტრირებაში, ტურიზმში ან საკურორტო საქმიანობაში;</p> <ol style="list-style-type: none"> a. ინგლისური B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატის (FCE), საზღვარგარეთ ინგლისურ ენოვან ბაკალავრიატში/მაგისტრატურაში/ დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენა ან საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მისაღები ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარება. ინგლისურ ენაში კომპეტენციის მინიმალური ზღვარი არის მაქსიმალური შეფასების მინიმუმ 51 %. b. არჩეულ დარგში შესასწავლი საკითხის მიმართულებით კვლევის კონცეფციის წარმოდგენა. c. შესაბამისი მიმართულების ორი პროფესორის ან/ და ასოცირებული პროფესორის ან საქართველოს უნივერსიტეტის ემერიტუსის სარეკომენდაციო წერილი.

Goal of the Program

Goal of the Doctoral program healthcare Plus, 10 – give the doctoral students contemporary theoretical knowledge and develop practical scientific research and pedagogical skills according to elected specialties in Healthcare (Medicine, Dentistry, Pharmacy, Public Health, nursing, Physical medicine and rehabilitation) or Business Administration (Healthcare Administration, Pharmacy Administration, Public Health Administration, Medical Tourism and Wellness Administration).

New knowledge based on evidence obtained through epidemiological, clinical, and experimental researches will facilitate preparation of qualified scientific and academic staff and expanding existing knowledge in effective control, screening, early diagnostics, treatment, prevention of diseases, health promotion and protection and physical rehabilitation.

In the perspective, enhanced knowledge in the field of healthcare and business administration and preparation of scientific and pedagogic staff will promote creation of favorable conditions that will contribute to population health promotion and protection, disease prevention and decrease burden of diseases, increase life expectancy, improve the quality of life, wellness, social benefits and economic progress.

პროგრამის მიზანი

სადოქტორო პროგრამის: ჯანდაცვა პლუსი, 10 **მიზანი** - დოქტორანტებს მისცეს თანამედროვე თეორიული ცოდნა და პრაქტიკულად განუვითაროს სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური უნარები ჯანდაცვის (მედიცინა, სტომატოლოგია, ფარმაცია, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, საექთნო საქმე, ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია) ან ბიზნესის ადმინისტრირების (ჯანდაცვის ადმინისტრირება, ფარმაციის ადმინისტრირება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადმინისტრირება, სამედიცინო ტურიზმისა და ველნესის ადმინისტრირება) არჩევითი სპეციალობების მიხედვით. ეპიდემიოლოგიური, კლინიკური და ექსპერიმენტული კვლევებით მიღებულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული ახალი ცოდნა ხელსშეუწობს კვალიფიციური სამეცნიერო-აკადემიური კადრების მომზადებას და მათ მიერ დაავადებათა ეფექტური კონტროლის, დაავადებების სკრინინგის, ადრეულ დიაგნოსტიკის, მკურნალობის, ფიზიკური რეაბილიტაციის, დაავადებათა პრევენციის, ჯანმრთელობის პრომოციისა და პროტექციის შესახებ უკვე არსებულ ცოდნის გაფართოებას. პერსპექტივაში, ჯანდაცვისა და ბიზნესის ადმინისტრირების არჩევით დარგებში ცოდნის გაფართოებითა და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადებით, შეიქმნება ხელსაყრელი გარემო პირობები და ხელიშეწყობა მოქალაქეების ჯანმრთელობის პრომოციასა და პროტექციას, დაავადებათა პრევენციასა და მათი ტვირთის შემცირებას, ადამიანების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობის გაზრდას, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, საზოგადოების კეთილდღეობას (Wellness), სოციალური ბენეფიტის მიღებასა და ეკონომიკურ პროგრესს.

**Doctoral Program: „Healthcare Plus, 10“
Framework Platform**

Structure and content of Doctoral Program, load of students by semesters and distribution of credits

Load of student		Duration	Semester	ECTS Total 180
Study component	Philosophy of Science, Research Ethics, Project Development and Management	22 weeks	I-II	10
	Teaching methods	22 weeks	I-II	5
	Pedagogical practice	22 weeks	III-V	5
	Specialty module (in 10 elective * specialties)	22 weeks	I-II	10
	Researches in Healthcare and Business Administration	22 weeks	II	30
Research component		88 weeks	I-VI	120

*) Elective * specialties:

1. Healthcare Management
2. Pharmacy Management
3. Public Health Management
4. Medical tourism and Wellness Management
5. Medicine
6. Dentistry
7. Pharmacy
8. Public Health
9. Nursing
10. Physical Medicine and Rehabilitation.

**სადოქტორო პროგრამა: „ჯანდაცვა პლუსი, 10“
ჩარჩო პლატფორმა**

სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, დოქტორანტის დატვირთვა სემესტრების მიხედვით და კრედიტების განაწილება

დოქტორანტის დატვირთვა		ხანგრძლივობა	სემესტრი	კრედიტები (ECTS) სულ 180
სასწავლო კომპონენტი	მეცნიერების ფილოსოფია, კვლევის ეთიკა, კვლევითი პროექტის მომზადება და მართვა	22 კვირა	I-II	10
	სწავლების მეთოდები	22 კვირა	I-II	5
	პედაგოგიური პრაქტიკა	22 კვირა	III-V	5
	სპეციალობის მოდული (10 არჩევითი* სპეციალობაში)	22 კვირა	I-II	10
	კვლევები ჯანდაცვასა და ბიზნეს ადმინისტრირებაში	22 კვირა	II	30
	კვლევითი კომპონენტი		88 კვირა	I-VI

) არჩევითი სპეციალობი:

1. ჯანდაცვის მენეჯმენტი
2. ფარმაციის მენეჯმენტი
3. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მენეჯმენტი
4. სამედიცინო ტურიზმისა და ველნესის მენეჯმენტი
5. მედიცინა
6. სტომატოლოგია
7. ფარმაცია
8. საზოგადოებრივი ჯანდაცვა
9. საექთნო საქმე
10. ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია

Program consists of Study (60 ECTS) and Research (120 ECTS) components. Study component consists of 4 modules:

- * Field Study Module (**Specialty**)* - is a main elective subject (10 ECTS), that the doctoral student chooses himself/herself and before the start of the study presents concept of dissertation topic in elected field or specialty.

Therefore, the Program has 10 main elective field study modules (specialty) *:

1. Study module in Medicine
2. Study module in Dentistry
3. Study module in Pharmacy
4. Study module in Public health
5. Study module in Nursing
6. Study module in Physical Medicine and Rehabilitation
7. Study module in Healthcare Administration
8. Study module in Pharmacy Administration
9. Public health Management
10. Medical Tourism and Wellness Management

- * Two modules (Teaching methods 5 ECTS and pedagogical practice 5 ECTS) are represented as general university subjects and are aimed at development of pedagogical skills for doctoral students.

- * Two modules (Philosophy of Science, Research Ethics, Project Development and Management; Research in healthcare and Business Administration), together with main field study module prepares the doctoral student for research component.

„Dissertation Thesis“ is a research component of doctoral program and consists of the following basic activities (fragments) to be implemented in 4 stages:

1. Literature review on research topic
2. Research protocol
3. Scientific research
4. Dissertation thesis defense.

პროგრამა შედგება სასწავლო (60 ECTS) და კვლევითი (120 ECTS) კომპონენტებისაგანს. სასწავლო კომპონენტი შედგება 4 მოდულისაგან: დარგობრივი სასწავლო მოდული (**სპეციალობა**)* - არჩევითი სპეციალობის სასწავლო მოდული (10 არჩევით* სპეციალობაში):

- * არის ძირითადი არჩევითი საგანი (10 ECTS), რომელსაც დოქტორანტი ირჩევს თვითონ და სწავლის დაწყებამდე არჩეულ დარგსა თუ სპეციალობაში წარმოადგენს სადისერტაციო თემის კონცეფციას.

პროგრამას სულ გააჩნია 10 ძირითადი არჩევითი დარგობრივი სასწავლო მოდული (სპეციალობა)*:

1. მედიცინაში
2. სტომატოლოგიაში
3. ფარმაციაში
4. საზოგადოებრივ ჯანდაცვაში
5. საექთნო საქმეში
6. ფიზიკური მედიცინასა და რეაბილიტაციაში
7. ჯანდაცვის ადმინისტრირებაში
8. ფარმაციის ადმინისტრირებაში
9. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მენეჯმენტში
10. სამედიცინო ტურიზმისა და ველნესის მენეჯმენტში

- ♦ ორი მოდული (სწავლების მეთოდები 5 ECTS და პედაგოგიური პრაქტიკა 5 ECTS) წარმოადგენილია საუნივერსიტეტო ზოგადი საგნების სახით და მიმართულია დოქტორანტისათვის პედაგოგიური საქმიანობის უნარების გამომუშავებისაკენ.

- ♦ ორი მოდული (მეცნიერების ფილოსოფია, კვლევის ეთიკა, კვლევითი პროექტის მომზადება და მართვა; კვლევები ჯანდაცვასა და ბიზნეს ადმინისტრირებაში), ძირითადი არჩევითი დარგობრივ სასწავლო მოდულთან ერთად, ამზადებს დოქტორანტს კვლევითი კომპონენტისათვის.

Beginning of the research component by the doctoral student is determined by Scientific Supervisor. In the first year of study (1st and 2nd semesters), a doctoral student passes subjects of the study component. Pedagogical practice student can pass in the next semesters. If doctoral student studies subjects of study component easily he/she can begin research component activities from the first year, particularly – literature review on research topic and preparation of research protocol. In this case, the student will be given three semesters (3rd, 4th and 5th) for conducting scientific research and 6th semester – for dissertation paper defense. Alternative: In the first year of study, the student prepares only a review of the literature on research topic, and begins preparation of research protocol in 3rd semester, in 4th and 5th semesters conducts research and in 6th semester defends dissertation paper (See Annex 1 to Doctoral Program: Roadmap of the Research Component of the Doctoral Program).

Learning outcomes attaining methods:

- ◇ Working on the book
- ◇ Seminar
- ◇ Execution of problem-oriented cases
- ◇ Development of independent research design
- ◇ Searching relevant materials in electronic resources or library
- ◇ Teaching/seminars/trainings and educational activities
- ◇ Critical analysis
- ◇ Literature analysis
- ◇ Conducting scientific research
- ◇ Analysis of research findings
- ◇ Constructive critical assessment of own and other’s work
- ◇ Critical analysis of scientific articles provided in international referencing editions
- ◇ Discussion
- ◇ Debates
- ◇ Written work
- ◇ Verbal, or oral method
- ◇ Making presentations to local and international professional societies
- ◇ Consultations

Learning outcomes:

Knowledge and understanding

Graduate will have:

- ◇ New in-depth and fundamental knowledge in a specialty elected in Healthcare or Business Administration elected specialty and gained through study modules and on the basis of evidences obtained by epidemiological, clinical and experimental studies;
- ◇ In-depth knowledge of evidence-based methodologies and modern technologies for development of scientific projects in elected field or specialty in healthcare or business administration;

„სადისერტაციო ნაშრომი“ წარმოადგენს დოქტორანტურის კვლევით კომპონენტს და შედგება 4 ეტაპად განსახორციელებელი შემდეგი ძირითადი აქტივობებისაგან (ფრაგმენტებისაგან):

1. საკვლევ საკითხზე ლიტერატურის მიმოხილვა,
2. კვლევის პროტოკოლი,
3. სამეცნიერო კვლევა,
4. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა.

დოქტორანტის მიერ კვლევითი კომპონენტის დაწყებას განსაზღვრავს სამეცნიერო ხელმძღვანელი. დოქტორანტურაში სწავლების პირველ წელს (1-ლ და მე-2 სემესტრებში) დოქტორანტი გადის სასწავლო კომპონენტის საგნებს. შესაძლებელია პედაგოგიური პრაქტიკა გაიაროს მომდევნო სემესტრებში. იმ შემთხვევაში, როდესაც დოქტორანტი ადვილად სძლევს სასწავლო კომპონენტის საგნებს, მას პირველი წლიდან შეუძლია დაიწყოს პროგრამის კვლევითი კომპონენტის აქტივობები, კერძოდ- საკვლევ საკითხზე ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის პროტოკოლის მომზადება. ასეთ შემთხვევაში დოქტორანტს სამეცნიერო კვლევის ჩასატარებლად ეძლევა სამი სემესტრი (მე-3, მე-4 და მე-5), ხოლო მე-6 სემესტრი- სადისერტაციო ნაშრომის დაცვისათვის. ალტერნატივა: დოქტორანტი სწავლების 1-ლ წელს ამზადებს მხოლოდ საკვლევ საკითხზე ლიტერატურის მიმოხილვას, ხოლო კვლევის პროტოკოლის მომზადებას იწყებს მე-3 სემესტრში, მე-4 და მე-5 სემესტრებში ატარებს სამეცნიერო კვლევას, ხოლო მე-6 სემესტრში იცავს სადისერტაციო ნაშრომს (იხ. სადოქტორო პროგრამის დანართი 1: სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტის გზამკვლევი).

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

- ◇ წიგნზე მუშაობის მეთოდი
- ◇ სემინარი
- ◇ პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული ქეისების შესრულება
- ◇ დამოუკიდებლად კვლევის დიზაინის შექმნა
- ◇ შესაბამისი მასალის მოძიება ელექტრონულ ფორმატში ან ბიბლიოთეკაში
- ◇ სწავლება/სემინარები/ტრენინგები და საგანმანათლებლო აქტივობები
- ◇ კრიტიკული ანალიზი
- ◇ ლიტერატურის ანალიზი
- ◇ სამეცნიერო კვლევის ჩატარება
- ◇ კვლევის შედეგების ანალიზი

- ◊ Solid knowledge of the latest trends and modern approaches to effective control, screening, early diagnosis, treatment of diseases, physical rehabilitation, disease prevention and development of other health services; Reassessing the already existing knowledge and understanding of scopes of renewed knowledge through its partial reevaluation.

Applying the knowledge in practice

Graduate will be able to:

- ◊ Apply in practice the most recent achievements in the elected field or specialty in healthcare or business administration;
- ◊ Independently plan, implement and control biomedical research oriented on creation of new knowledge in the elected field or specialty in healthcare or business administration;
- ◊ Independently plan and implement innovative research and supervise research processes aimed at studying medical services and assessment of their effectiveness;
- ◊ Create a new knowledge through multidisciplinary approach to systemic disease management, that will be reflected as publications in international referenced journals;
- ◊ Prepare and implement scientific-research projects on topical problems in healthcare or business administration;
- ◊ Supervise doctoral research in the elected specialty in healthcare or business administration.

Making judgements

Graduate will be able to:

- ◊ Formulate objective judgements and elaborate practical recommendations based on evidences obtained through scientific researches in the elected specialty in healthcare or business administration;
- ◊ Critically analyze, synthesize and assess new and complicated, sometimes controversial ideas and approaches in the elected specialty in healthcare or business administration aimed at creation of new knowledge or reevaluation of existing knowledge;
- ◊ Identify problems faced during health service development-delivery in the elected specialty in healthcare or business administration and make independent evidence-based decisions for their solution.

- ◊ საკუთარი და სხვისი სამუშაოს კონსტრუქციული კრიტიკული შეფასება
- ◊ საერთაშორისო რეფერირებად გამოცემებში მოწოდებული სამეცნიერო სტატიების კრიტიკული ანალიზი
- ◊ დისკუსია
- ◊ დებატები
- ◊ წერითი მუშაობის მეთოდი
- ◊ ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი
- ◊ პრეზენტაციების წარდგენა ადილობრივ და საერთაშორისო პროფესიულ წრეებში
- ◊ კონსულტაციები

სწავლის შედეგები:

ცოდნა -გაცნობიერების უნარი

კურსდამთავრებულს ექნება:

- ◊ სასწავლო მოდულებით, ეპიდემიოლოგიურ, კლინიკურ და ექსპერიმენტული კვლევებით დადგენილ მტკიცებულებებზე დაფუძნებით მიღებული ახალი ღრმა და ფუნდამენტური ცოდნა ჯანდაცვის დარგსა თუ ბიზნესის ადმინისტრირების არჩეულ სპეციალობაში.
- ◊ ჯანდაცვის თუ ბიზნესის ადმინისტრირების თუ მიმართულებათაშორისო დარგების არჩეულ დარგსა თუ სპეციალობაში სამეცნიერო პროექტების მომზადების უახლესი ტექნოლოგიებისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული მეთოდოლოგიების სიღრმისული ცოდნა;
- ◊ დაავადებათა ეფექტური კონტროლის, სკრინინგის, ადრეულ დიაგნოსტიკის, მკურნალობის, ფიზიკური რეაბილიტაციის, დაავადებათა პრევენციისა და სხვა ჯანდაცვითი სერვისების განვითარების უახლესი ტენდენციებისა და თანამედროვე მიდგომების საფუძვლიანი ცოდნა; უკვე არსებული ცოდნის ხელახალი, სისტემური გააზრება და მისი ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებულს ექნება

- ◊ ჯანდაცვის დარგების თუ ბიზნესის ადმინისტრირების არჩეულ სპეციალობაში უახლესი მიღწევების პრაქტიკაში გამოყენების უნარი;

Communication skills

Graduate will be able to:

- ◇ Present to local and international professional scientific society in grounded manner relations between knew and existing knowledge in the elected specialty in healthcare or business administration;
- ◇ Present to international referenced resources and international professional scientific society new evidence-based ideas generated on the basis of scientific researches and participate in professional scientific topical discussions.

Learning skills

Graduate will be able to:

- ◇ Facilitate and develop further researches that are based on recent achievements in the elected specialty in healthcare or business administration;
- ◇ Effectively apply new knowledge that is based on recent achievements in educational and research activities.

Values

Graduate will have:

- ◇ Understanding of need for research of cultural values and ways for establishment of bioethical standards and necessity of development of innovative methods in the fields of healthcare or business administration;
- ◇ Ability to formulate socially and ethically acceptable scientific proposals on the basis of analysis of incomplete and limited information.

Doctoral student’s load:

- ◇ Study component 1500 hours;
- ◇ Research component 3000 hours.

Peculiarities of organization of teaching

- ◇ Teaching of study component is semester-based (semester – 22 weeks)
- ◇ Study components are led by competent academic staff and invited specialists, and research components are led by scientific supervisors of doctoral students.

- ◇ ჯანდაცვის დარგების თუ ბიზნესის ადმინისტრირების არჩეულ სპეციალობაში ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული, ბიოსამედიცინო პროფილის კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, განხორციელებისა და კონტროლის უნარი;
- ◇ სამედიცინო სერვისების შესწავლისა და ეფექტურობის შეფასების მიზნით ახალი კვლევითი და ანალიტიკური მიდგომების შემუშავების, ინოვაციური კვლევების დამოუკიდებლად დაგეგმვის, განხორციელებისა და კვლევით პროცესებზე ზედამხედველობის უნარი;
- ◇ დაავადებათა სისტემური მართვისადმი მულტიდისციპლინური მიდგომების გზით ახალი ცოდნის შექმნის უნარი, რაც პუბლიკაციების სახით აისახება საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში;
- ◇ ჯანდაცვასა თუ ბიზნესის ადმინისტრირებაში აქტუალურ პრობლემატიკაზე სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მომზადებისა და განხორციელების უნარი;
- ◇ ჯანდაცვის დარგების თუ ბიზნესის ადმინისტრირების არჩეულ სპეციალობაში სადოქტორო კვლევის ხელმძღვანელობის უნარი.

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულს ექნება:

- ◇ ჯანდაცვის დარგების თუ ბიზნესის ადმინისტრირების არჩეულ სპეციალობაში სამეცნიერო კვლევებით მიღებულ მტკიცებულებებზე დაფუძნებით ობიექტური დასკვნების ფორმულირებისა და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავების უნარი;
- ◇ ჯანდაცვის დარგების თუ ბიზნესის ადმინისტრირების არჩეულ სპეციალობაში ახალი ცოდნის შექმნის, ან არსებულის გადაფასების მიზნით ახალი და რთული, რიგ შემთხვევებში წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარი;
- ◇ ჯანდაცვის დარგების თუ ბიზნესის ადმინისტრირების არჩეულ სპეციალობაში ჯანდაცვითი სერვისების შემუშავება-მიწოდების დროს წარმოქმნილი პრობლემის იდენტიფიცირებისა და ამისი გადაჭრის მიზნით მტკიცებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უნარი;

Knowledge assessment system:

The following assessment system is used for assessment of dissertation paper:
a) Excellent (summa cum laude) – perfect paper;
b) Very good (magna cum laude) – result, which exceeds the requirements in all aspects;
c) Good (cum laude) – result, which exceeds the requirements;
d) Average (bene) – result, which meets the requirements in all aspects;
e) Satisfactory (rite) – result, which, despite the shortcomings, still meets the requirements;
f) Insufficient (insufficienter) – result, which does not meet the requirements due to significant shortcomings;
g) Completely insufficient (sub omni canone) – result, which does not meet the requirements in no aspects.

Study components assessment system

Average	University rate	General rate in Georgia	
97-100	A+	A	Excellent
94-96	A		
91-93	A-		
87-90	B+	B	Very good
84-86	B		
81-83	B-		
77-80	C+	C	Good
74-76	C		
71-73	C-		
67-70	D+	D	Satisfactory
64-66	D		
61-63	D-		
51-60	E	E	Sufficient
Negative rate			
41-50	FX	FX	Failed
< 40	F	F	Failed

Human resources needed for implementation of educational program:
 During the course of study consultations and appropriate researches with high-qualified Georgian and foreign colleagues can be conducted, which is ensured by memorandums of cooperation on international levels (University of Mississippi, New York University - USA, University of Tromso - Norway, University of Basque – Spain, etc., Affiliated professors of the School).

კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებულს ექნება:

- ◇ ჯანდაცვის დარგების თუ ბიზნესის ადმინისტრირების არჩეულ სპეციალობაში ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირის ადგილობრივ და საერთაშორისო პროფესიულ სამეცნიერო საზოგადოებაში დასაბუთებულად და ნათლად წარმოჩენის უნარი;
- ◇ საერთაშორისო რეფერირებად წყაროებში, საერთაშორისო პროფესიულ სამეცნიერო საზოგადოებაში მედიცინაში მეცნიერული კვლევებით მიღებული და მტკიცებულებათა სისტემაზე აგებული ახალი იდეების წარმოჩენისა და პროფესიულ სამეცნიერო თემატურ დისკუსიებში ჩართვის უნარი.

სწავლის უნარი

კურსდამთავრებულს ექნება:

- ◇ ჯანდაცვის დარგების თუ ბიზნესის ადმინისტრირების არჩეულ სპეციალობაში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ახალი მტკიცებულებების წარმოჩენით, მათი სწავლებისა და შემდგომი კვლევის ხელშეწყობისა და განვითარების მზაობა;
- ◇ უახლეს მიღწევებზე დამყარებული ახალი ცოდნისა და სწავლის, ასევე სხვისთვის გადაცემისა და მისი საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი.

ღირებულებები

კურსდამთავრებულს ექნება:

- ◇ გათავისებული ჯანდაცვის თუ ბიზნესის ადმინისტრირების თუ მიმართულებათაშორისო დარგებში კულტურულ ფასეულობათა, ბიოეთიკური სტანდარტების დამკვიდრების გზების კვლევის საჭიროება და ინოვაციური მეთოდების შემუშავების აუცილებლობა.
- ◇ არასრული და შეზღუდული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე სოციალურად და ეთიკურად მისაღები სამეცნიერო მოსაზრებების ჩამოყალიბების უნარი.

დოქტორანტის დატვირთვა:

- ◇ სასწავლო კომპონენტი 1500 სთ;
- ◇ კვლევითი კომპონენტი 3000 სთ

სწავლების ორგანიზების თავისებურებები

- ◇ სასწავლო კომპონენტების სწავლება სემესტრულია (სემესტრი 22 კვირა)
- ◇ სასწავლო კომპონენტებს ხელმძღვანელობენ და მონაწილეობენ შესაბამისი კომპეტენციის მქონე აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები, კვლევით კომპონენტებს კი - დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელები.

ცოდნის შეფასების სისტემა:

დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი შეფასების სისტემა:
ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
დ) საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

სასწავლო კომპონენტების შეფასების სისტემა

შედეგების საშუალო	საუნივერსიტეტო შეფასება	საქართველოში მოქმედი ზოგადი შეფასება	
97-100	A+	A	ფრიადი
94-96	A		
91-93	A-		
87-90	B+	B	ძალიან კარგი
84-86	B		
81-83	B-		
77-80	C+	C	კარგი
74-76	C		
71-73	C-		
67-70	D+	D	დამაკმაყოფილებელი
64-66	D		
61-63	D-		
51-60	E	E	საკმარისი
უარყოფითი შეფასება			
41-50	FX	FX	ვერ ჩააბარა
< 40	F	F	ჩაიჭრა

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

სწავლების პროცესში შესაძლებელია კონსულტაციები მაღალკვალიფიციურ ქართველ და უცხოელ კოლეგებთან და შესაბამისი კვლევების განხორციელება, რაც უზრუნველყოფილია თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმებით საერთაშორისო დონეზე (აშშ მისისიპის უნივერსიტეტი, ნორვეგია-ტრომსოს უნივერსიტეტი, ნიუ-იორკის და ბასკეთის უნივერსიტეტები და სხვა, სკოლის აფილირებულ პროფესორებთან).